დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

მაკა ოკმელაშვილის

ა ნ გ ა რ ი შ ი

სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2023 წლის ნოემბრიდან დღემდე სოციალურ საკითხთა კომისიამ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 4 კომისიის სხდომის ჩატარებას, კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადდა 8 მოქალაქე, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ დამტკიცებულ 24 სოციალურ პროგრამას:

1.ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული, აქტუალური დაავადების მქონე პირების და ბენეფიცართა იმ კატეგორიის ფინანსური დახმარება, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში, მაგრამ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ წარმომადგენლის ინფორმაციაზე დაყრდნობით ოჯახი განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას.

2.დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია დიალიზის საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მატერიალური დახმარების გაწევა.

3.ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

4.მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მატერიალური დახმარების გაწევა.

5.მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა და პატრონის გარეშე დარჩენილი მიცვალებულების, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ერთეულს) დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალოხარჯების ანაზღურების უზრუნველყოფა.

6. 18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2024 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა

ეს პროგრამა შემუშავდა იმ რეკომენდაციების და კვლევების გათვალისწინებით, რომელიც მუნიციპალიტეტმა რეკომენდაციის სახით და შესასრულებლად მიიღო 2022 წლის 31 მაისს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 21 მაისის N01/1693 წერილით, სადაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი ,,კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში მომზადებული სპეციალური ანგარიშში ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებსა და გოგონების საჭიროებებისა მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“ ასახულია რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ (თან ერთვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი, კვლევის ანგარიში და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მალზახი გვიჩიანის მოხსენებითი ბარათი) და დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

7. მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამა

2023 წელს ინიციატივა წამოვიდა ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილებიდან. სულ ასეთი ბავშვი არის 145, რომლებიც რეალურად საჭიროებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას, ვინაიდან მათი ნაწილი არ იღებდა სოციალურ შემწეობას, არ ქონდა სოციალური სტატუსი მაგრამ აღნიშნული პროგრამით შეეძლოთ ესარგებლათ.

8.ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის ამოცანაა მარტოხელა პენსიონერი პირების, იძულებით გადადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახების, იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახებოს საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფა.

9.სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობისათვის სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსები.

10.აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების მკურნალობა, სოციალური კომუნიკაციის ხელშეწყობა, ადაფტაციური უნარების განვითარება და მათი ოჯახების მხარდაჭერა.

11. .მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის 2024წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული, აქტუალური დაავადების და სოციალურად დაუცველი პირების (რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს) მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

12.ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

13. ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა

პროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, hilsferk internationals - სა და იგპ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობას" შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად (თან ერთვის მემორანდუმი და შეთანხმება).

14. მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია, დახმარება გაეწიოთ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიან ოჯახებს (4 და მეტი შვილი) საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

პროგრამის შექმნა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორმა, რომ მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნდათ ელემენტარული პირველადი ან აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილების რესურსი. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი იქნა მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთებს.

15. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა

პროგრამა განხორციელდება მერიაში შემოსული განაცხადების საფუძველზე ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეშვეობით.

16. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) 2024 წლის ქვეპროგრამა

პირველად 2022 წელს გამოვლინდა რამოდენიმე შემთხვევა, რომელმაც ფაქტის წინაშე დაგვაყენა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის საჭირო გახდა მსხვერპლის ოჯახიდან გაყვანა/განცალკევება, ამიტომ მიზანშეწონილია დაინერგოს მათთვის გარკვეული პერიოდით (მცირე ხნით) ბინის დაქირავების პრაქტიკა.

17.ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის,დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა.

პროგრამის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორმა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა განცხადებები, რომ დავხმარებოდით იმ ბავშვიან ოჯახებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ დღის ცენტრებში რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამებში ჩართვა, ვინაიდან აღიშნულ სერვისს ვერ ღებულობენ დმანისის მუნიციპალიტეტში ცეტრების არ არსებობის გამო. მერიის ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ მოიძია ასეთი 9 ბავშვი რომლებსაც ნამდვილად ესაჭიროებათ ზემოთ აპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა, ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

18.ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით.

პროგრამის მიზანია, დმანისში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების გზით, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალები, რომელთაც არ აქვთ ბიზნესის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება.

პროგრამის ამოცანაა ქალების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მნიშვნელობის გაზიარება/გააზრება საზოგადოების, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ქალების, მათი ოჯახების და დამსაქმებლების მიერ, ქალებში დასაქმებისთვის საჭირო ინდივიდუალური შესაძლებლობების გაუმჯობესება და ქალთა ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ასევე, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდა შემდეგი პროგრამები:

19. დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესი

1.1ეს წესი განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისთვისა და მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემის პირობებს.

1.2 წესის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული, წარჩინებული სტუდენტების (ბაკალავრი) და წარმატებული სპორტსმენების წახალისება ყოველთვიური ე.წ სტიპენდიის გაცემის გზით.

20. .დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები

ქვეპროგრამის მიზანია:

- პროფესიული განათლების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა;
- პროფესიული სტუდენტების, დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება;
- სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული, პროფესიული სტუდენტების წახალისებას სწავლის დაფინანსების გზით.

21. დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები

ქვეპროგრამის მიზანია:

- ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაცია.

22. დმანისის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

23. .დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის 2024 წლის ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანია, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავების პროცესის წახალისება და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ხელშეწყობა.

24. <u>სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის, რომელთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავები არის ავარიულ მგდომარეობაში და ესაჭიროება გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები.

კომისიის სახელზე სულ შემოვიდა 45 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 31.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა

რომლის მიზანია:

შშმ პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.

ხოლო სამოქმედო გეგმის ამოცანაა:

1.შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.

2.შშმ პირთა საზოგადოებრივ,პოლიტიკურ,კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა.

3. შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერება.

4. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების /სასწავლო ღონისძიებების /ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა უფლებების და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარდა სულ 13 სხდომა (დავესწარი 11 სხდომას)

სადაც დამტკიცებული იქნა 37 დადგენილება და 57განკარგულება.

საკრებულოს ბიურომ ჩაატარა სულ 13 სხდომა (დავესწარი 10 სხდომას).

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი:

სულ ჩატარდა ფრაქციის 2 სხდომა სადაც განხილულ იქნა 2 საკითხი.

ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

ასევე ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარდა სხდომები სადაც დამტკიცებულ იქნა სამოქმედო გეგმა და განვიხილეთ განსახორციელებელი აქტივობები და ღონისძიებები.

განხორციელებული აქტივობები:

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებში მერის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების მიზნით ვაწარმოებდი შეხვედრებს მოსახლეობასთან.

ჩემი როგორც საკრებულოს წევრისა და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მუნიციპალიტეტში შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები.

კერძოდ:

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

საჯარო სკოლების რეაბილიტაცია

სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა

გარე განათების მოწყობა

სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება
- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის ერთჯერადი ფინანსური დახმარების საჭიროება

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული გზების რეაბილიტაცია
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა.

მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარებები და რეკომენდაციები.

საკრებულო, მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული მოსახლეობის დახმარების კამპანიაში, რომელიც წარმატებით განხორციელდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

შევსების თარიღი: 18.11.2024 წელი